

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება



წინასაარჩევნო პერიოდის შემაჯამებელი ანგარიში

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები

5 იანვარი, 2008წ.

2008 წლის 5 იანვარს დანიშნულ საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) მობილიზება გაუკეთა დამკვირვებელთა ქსელს. ორგანიზაცია მზად არის, 3400 დამკვირვებლის მეშვეობით განახორციელოს ფართომასშტაბიანი მონიტორინგი და დაფაროს საქართველოში არსებული საარჩევნო უზნების მაქსიმალური რაოდენობა.

“სამართლიანი არჩევნების” ფართომასშტაბიანი მონიტორინგი მოიცავს:

- წინასაარჩევნო პერიოდის;
- არჩევნების დღისა; და
- არჩევნების შემდგომი პროცედურების მონიტორინგს.

“სამართლიანი არჩევნების” ცენტრალური და რეგიონული ოფისების, ისევე როგორც რაიონული წარმომადგენლების მიერ განხორციელებულმა წინა-საარჩევნო პერიოდის მონიტორინგმა მოიცვა შემდეგი ასპექტები: საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესი ყველა დონეზე, ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონით დადგენილი ვადების დაცვა და წინასაარჩევნო ღონისძიებების შესრულება. გარდა ამისა “სამართლიანმა არჩევნებმა” განახორციელა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების სრული პროცესის, საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიებისა და ხმების მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგებს ორგანიზაცია საზოგადოებას აცნობდა ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის “საარჩევნო სიახლენის” მეშვეობით.

“სამართლიანი არჩევნების” სადამკვირვებლო მისია მოიცავს და დაფარავს 75 საარჩევნო ოლქის უბანთა უმრავლესობას. 2008 წლის 5 იანვარს ორგანიზაცია მიუკერძოებელ დამკვირვებლებს მიავლენს საარჩევნო უბნებზე, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში. პარალელურად, ჩამოყალიბდება მობილური ჯგუფები სხვადასხვა საარჩევნო უბნიდან უახლესი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. მათი ფუნქცია ასევე იქნება, რეაგირება მოახდინონ კრიტიკულ სიტუაციებზე, თუ ასეთი შეიქმნა საარჩევნო უბნებზე. “სამართლიანი არჩევნები” საპრეზიდენტო



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

არჩევნებს დააკვირდება ასევე ერაყში, სადაც ორგანიზაციამ უკვე მიაღწინა ორი მოკლევადიანი დამკვირვებელი.

საარჩევნო კანონმდებლობა

2007 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. საკანონმდებლო ცვლილებათაგან განსაკუთრებით ხაზგასასმელია რამდენიმე ასპექტი:

- საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულებების 1297 მუხლის მე-6 პუნქტით, კანონმდებლობით კვლავ იქნა დაშვებული არჩევნების დღეს კენჭისყრაში მონაწილეობა დამატებითი სიის მეშვეობით;
- საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების ვადა ექვსიდან ხუთ წლამდე შემცირდა;
- შეიცვალა ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დაკომპლექტების წესი – პრეზიდენტის წარდგენის საფუძველზე, პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ცესკო-ს 6 წევრს (თავმჯდომარის ჩათვლით) დაემატა 7 წევრი, რომლებიც ინიშნებიან იმ პოლიტიკური პარტიების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილ 6 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს დაემატა 7 ახალი წევრი, რომლებიც ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ ინიშნებიან. შედეგად, ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 13-მდე გაიზარდა.
- საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა 2000-დან 1500-მდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება არ შეეხო იმ სოფლებს, სადაც ჯერ-ჯერობით არ არსებობს მისამართები და შენობების დანომრვა.
- საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლით დაზუსტდა სპეციალურ სიაში შესული საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის ხმის მიცემის პროცედურები.

საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა დაკომპლექტების წესის შეცვლის შესაბამისად, მოხდა ახალი წევრების დამატება პოლიტიკური პარტიების წარდგინებით.

არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ცესკო-ში ზოგიერთი თანამშრომლის აყვანა მოხდა ღია კონკურსის გარეშე. თუმცა დავძენთ, რომ ყველა ეს პროცედურა საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონის სრული დაცვით განახორციელა, რადგანაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეგლამენტით უფლება აქვს, ფორსმაჟორულ სიტუაციაში დანიშნოს, გაათავისუფლოს ან/და გადაადგილოს ცესკო-ს აპარატის თანამშრომლები.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილების (#37/2007) მიხედვით, მაღალმთიანი ოლქების ძნელად მისაღწეომ უბნებში შეიძლება არჩევნები ჩატარდეს დანიშნულზე უფრო ადრე - 28 დეკემბრიდან 5 იანვრამდე ნებისმიერ დღეს. აღნიშნული უბნებია:

1. #28 დუშეთის საარჩევნო ოლქის: N#16, #17, #34, #41, N#42 საარჩევნო უბნები;
2. #18 ახმეტის საარჩევნო ოლქის: N#14 საარჩევნო უბანი;
3. #29 ყაზბეგის საარჩევნო ოლქის: N#4, N#8, #9 და #10 საარჩევნო უბნები;
4. #46 ლენტეხის საარჩევნო ოლქის: N#16 საარჩევნო უბანი;
5. #47 მესტიის საარჩევნო ოლქის: N#11, #12, #13, N#27, #28, #30, #34, #35, #39 და #40 საარჩევნო უბნები.

თუმცა, მოცემულ ოლქების არცერთ უბანზე არ ჩატარებულა ნაადრევი არჩევნები, რადგან ცესკო-ს ინფორმაციით მოსალოდნელი ცუდი ამინდი არ დაფიქსირდა ზემოთხსენებულ უბნებზე.

2007 წლის 21 დეკემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა, რომელიც მიმდინარეობდა 5 სტამბაში. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აკვირდებოდა ხუთივე სტამბაში მიმდინარე პროცესებს. 22 დეკემბერს 13:20 საათზე „სამართლიანი არჩევნების“ აკრედიტებული დამკვირვებელი კახა ჭაჭუა თავდაპირველად არ შეუშვეს სტამბა „პოლიგრაფში“ ხელმძღვანელი პირის არყოფნის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაციამ მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც უზრუნველყო „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ სტამბაში შესვლა და ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე მონიტორინგის განხორციელება.

22 დეკემბერს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის #36/2007 დადგენილებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ, კერძოდ, ერაყსა და კოსოვოში განლაგებულ სამშვიდობო ბატალიონებში მომსახურე საქართველოს მოქალაქეებისთვის საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით შეიქმნა შემდეგი საარჩევნო უბნები:

1. ერაყი, ქ. ბაღდათი, მწვანე ზონა, ბაზა „იუნიონი“ – 1848 ამომრჩეველი;
2. ერაყი, ვასიტის პროვინცია, ქ. ალკუტი, ბაზა „დელტა“ – 233 ამომრჩეველი;
3. კოსოვოს სამშვიდობო რეგიონი, ქ. პრიზნანი, სამხედრო ბაზა „აირფილდ“ – 318 ამომრჩეველი.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში (20 დეკემბერი, არჩევნებამდე არაუგვიანეს 16 დღისა) ძირითადად



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეცვალეს საუბნო საარჩევნო კომისიებში მათ მიერ წარდგენილი წევრები. „სამართლიანი არჩევნებისთვის“ უცნობია მათი მხრიდან განხორციელებული მსგავსი მასიური ცვლილებების გამომწვევი მიზეზები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით და ცესკო-ს #110/2007 განკარგულებით, იმ სამხედრო ნაწილში, საავამდყოფოში, ან სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში, სადაც 50 ამომრჩეველზე მეტი ფიქსირდება, შეიქმნა ახალი საარჩევნო უბნები, რაც კანონით არის გათვალისწინებული. მაგალითად, 2 ახალი უბანი შეიქმნა მთაწმინდის საარჩევნო ოლქში (#1,#34).

ახლად შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრები და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომრები) არ გამოქვეყნდა კანონით დადგენილ ვადაში 23 დეკემბრამდე ისნის, სამგორის, გლდანის, თიანეთის, მცხეთის, ხაშურისა და წყალტუბოს საარჩევნო ოლქებში (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლი, მე-7 პუნქტი).

სპეციალური სიები შეიქმნა მთელი ქვეყნის მასშტაბით. „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სპეციალურ სიებში ძირითადად შევიდნენ სასაზღვრო პოლიციაში მოსამსახურე პირები და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები. ესენია: საგარეჯოს, ლაგოდეხის, ონის, ხელვაჩაურის, მთაწმინდის, ჩულურეთის, გარდაბნის, დმანისის, ყაზბეგისა და ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, დადგენილ იქნა საარჩევნო უბნების ახალი საზღვრები. „სამართლიანი არჩევნების“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ საზღვრების შეცვლა გადაწყდა ეტაპობრივად (ჯერ ქალაქში, ხოლო შემდეგ - სოფლებში), რაც ხელს შეუწყობს ამომრჩევლებში გაურკვევლობის შემცირებას. თუმცა, სამწუხაროდ, განსაზღვრული ვადა (28 ნოემბერი) ვერ იქნა დაცული ყველა საარჩევნო ოლქის მიერ. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენის ვადა არ იყო დაცული დუმეთის, ქარელისა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში.

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ხარვეზები საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომებთან დაკავშირებით. სიღნაღისა და ნამალადევის საარჩევნო ოლქების ზოგიერთ უბანზე ოპოზიციური პარტიების წევრებს არ მიეწოდათ ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომების ზუსტი დროის შესახებ. ამასთან უბნებზე, სადაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არჩეულ იქნენ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად ან მოადგილეებად, გაბათილდა სხდომის ოქმები. ყვარელში ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე არ მოხდა არჩეული ოპოზიციური კანდიდატის ოქმში დაფიქსირება. ლაგოდეხში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სხდომაზე არჩეულ იქნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, თუმცა სხდომის ოქმს საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრიდან მხოლოდ ხუთმა წევრმა



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ პოლიციის წარმომადგენელი ესწრებოდა ვაზისუბნის #11 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას.

საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები კანონით დადგენილი ვადების დარღვევით ჩატარდა 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ რამდენიმე საარჩევნო უბანზე. მაგალითად, აღნიშნულს ჰქონდა ადგილი თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის #5, #8, #11, #13, #14, #16, #18, #26, #27, #30 და #34 საუბნო საარჩევნო კომისიებთან მიმართებაში.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან თითქმის ყოველდღე იმართებოდა სხდომები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამ პერიოდის განმავლობაში მრავალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ ცესკო-ს ყველა წევრისათვის არ იყო თანაბრად ხელმისაწვდომი საჭირო ინფორმაცია. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულ ცესკო-ს წევრებს სხდომის განრიგს მხოლოდ მისი დაწყების წინ აცნობდნენ, რაც ხელს უშლიდა სხდომის მუშაობაში მათ ეფექტურ ჩართვას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილებების შესახებ ხმის მიცემის დეტალების საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება. ამასთან, ხმის მიცემისას ცესკო-ს უპარტიო წევრები შეთანხმებულად მოქმედებენ. ხოლო პარტიების მიერ დანიშნული წევრები სხდომებზე საკითხებს განიხილავენ არა შინაგანი რწმენის, არამედ პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამომრჩეველთა სიები

2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ სპეციალური ჯგუფების მეშვეობით განახორციელა კარ-და-კარ ამომრჩეველთა სიების გადამოწმება საქართველოს 75 საარჩევნო ოლქში. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ დააკვირდა აღნიშნული პროცესის მიმდინარეობას. აგრეთვე, „სამართლიანი არჩევნები“ აკვირდებოდა ცესკო-ს მიერ კარ-და-კარ გადამოწმებული სიების დამუშავების სრულ პროცესს.

მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების კომპიუტერიზაციის მიზნით ცესკო-ს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ქსელების სამსახურმა დაიქირავა 42 ოპერატორი, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებდნენ ამომრჩეველთა მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში შეყვანას. ოპერატორები მუშაობდნენ სამ ცვლაში: 1. 9:00 – 13:30; 2. 14:00 – 18:00; 3. 18:00 – 22:00 ყოველდღიურად. სამი-ოთხი დღის განმავლობაში ცესკო-ში იმყოფებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები, რომლებიც ესწრებოდნენ



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ამომრჩეველთა მონაცემების სიაში შეყვანის პროცესს და ხარვეზების შემთხვევაში, ეხმარებოდნენ ოპერატორებს უზუსტობების შესწორებაში.

2007 წლის 5 დეკემბერს ცენტრალურ სარჩევნო კომისიაში უნდა დასრულებულიყო სიების კომპიუტერიზაცია. რეალურად, სიის შესწორების პროცესი გაგრძელდა ამ თარიღის შემდგომ და 7 დეკემბრის შემდეგაც, როდესაც გამოქვეყნდა ამომრჩეველთა ერთიანი სია. ცესკოს ინფორმაციით, გადამოწმდა საქართველოს ამომრჩეველთა რაოდენობის 2/3. ცესკო-მ საჯაროდ განაცხადა, რომ სიაში მითითებულ პირთა 30% ვერ იქნა მოძიებული. ამასთან, ამომრჩეველთა სიების დამუშავების პერიოდში საქართველოს მასშტაბით სიებიდან ამოღებულ იქნა 28 123 გარდაცვლილი, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0,83 %-ს; დამატებული იქნა 65 491 ამომრჩეველი, საერთო რაოდენობის - 1,94%. ცესკო-ს 2007 წლის 29 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არის 3 372 179.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა რამდენიმე ოლქში გადაამოწმეს შესაძლო გარდაცვლილ ამომრჩეველთა მონაცემები. 22 დეკემბერს „სამართლიანმა არჩევნებმა“ ცესკო-ს გადასცა გარდაცვლილ ამომრჩეველთა სია, რომლებიც იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ფიქსირდებოდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე, სიაში ნაპოვნი იქნა 50 გარდაცვლილი; ონის #43 საარჩევნო ოლქის #1 და #2 საარჩევნო უბანზე - 33 გარდაცვლილი; ზუგდიდის #67 საარჩევნო ოლქის #19 და #68 საარჩევნო უბანზე - 19 გარდაცვლილი. 2008 წლის 4 იანვრის მონაცემებით, ცესკო-ს არ უცნობებია აღნიშნული სიის გადამოწმების შედეგების შესახებ. „სამართლიანი არჩევნების“ მიერ განხორციელებული გადამოწმების შედეგად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში კვლავაც ფიქსირდებიან გარდაცვლილები, გაორებები და/ან ამომრჩეველები არასწორი პირადი მონაცემებით. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ არჩევნები დაინიშნა იმ პერიოდში, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ცდილობდა გაეუმჯობესებინა ამომრჩეველთა ერთიანი სია. არჩევნების დანიშვნამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, სპეც.ჯგუფების მიერ განხორციელებული საქმიანობის ამომრჩეველთა ერთიან სიაში სრულად ასახვაზე. ამასთან, ვერ მოხდა იმ ამომრჩეველთა მოძიება, რომლებიც ვერ გადამოწმდა კარ-და-კარ კამპანიის შედეგად. ხოლო ამომრჩეველთა მიერ საკუთარი მონაცემების გადამოწმებისათვის გამოყოფილი ვადების სიმცირემ და საარჩევნო კოდექსში შესულმა ცვლილებამ არჩევნების დღეს რეგისტრაციის შესაძლებლობის შესახებ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ამომრჩეველზე, თავი შეემოწმებინა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. დროის სიმცირის გამო პოლიტიკურ პარტიებსაც არ მიეცათ საშუალება სრულყოფილად გადაემოწმებინათ ამომრჩეველთა ერთიანი სია. არჩევნების ვადაზე ადრე დანიშნვამ ხელი შეუშალა „სამართლიან არჩევნებს“ განხორციელებინა ერთიანი ამომრჩეველთა სიის ხარისხობრივი გადამოწმება (აუდიტი). სამწუხაროდ ზემოთხსენებული საქმიანობის წარმართვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ამომრჩეველთა ერთიანი სიის სრულყოფილი აუდიტის ჩატარების



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

გარეშე “სამართლიანი არჩევნებისთვის” შეუძლებელია, ხარისხობრივად შეაფასოს ამომრჩეველთა ერთიანი სია.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ შეადარა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის დროს არსებულ ამომრჩეველთა სია 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის არსებულ სიას ოლქების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 5.6%-ით გაიზარდა. ზოგიერთ საარჩევნო ოლქში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა. კერძოდ: კრწანისი (19,7 %), კასპი (18,7 %), მარნეული (17,5 %), მარტვილი (16,2 %), საბურთალო (14,0%), ლაგოდეხი (13,8 %) და ოზურგეთი (10,9 %). თუმცა კრწანისის ოლქში ამომრჩეველთა ასეთი ზრდა განპირობებულია 2006 წელს თბილისის საზღვრების შეცვლით, რის შედეგადაც რამდენიმე მიმდებარე სოფელი შემოუერთდა ქალაქ თბილისს. ამავე დროს, ზოგიერთ ოლქში შემცირდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, მაგალითად: მცხეთა (-22.7 %), გარდაბანი (-8.1 %), ზემო აფხაზეთი (-6.5 %), ლენტეხი (-2.5 %) და სენაკი (-2.2 %).

წინასაარჩევნო გარემო

საოფისე ფართების ქირაობა

„სამართლიანი არჩევნების“ ხულოს დამკვირვებელს ჰქონდა პრობლემა საოფისე ფართის ქირაობასთან დაკავშირებით – მესაკუთრემ, რომელიც დასაქმებულია ერთ-ერთ კერძო კომპანიაში, უარი განუცხადა ფართის მიქირავებაზე. როგორც თავად განმარტა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღო გაფრთხილება, რომ “სამართლიანი არჩევნების” კოორდინატორისათვის ოფისის მიქირავების შემთხვევაში მის სამუშაო ადგილს საფრთხე დაემუქრებოდა. “სამართლიანი არჩევნების” გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, სულ მცირე ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს ასევე შეექმნათ მსგავსი პრობლემები ხულოში. მესაკუთრეებმა უმიზეზოდ დაატოვებინეს დაქირავებული შენობები რამდენიმე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის შტაბის წევრებს. “სამართლიანი არჩევნები” თავს იკავებს მესაკუთრეთა სახელების დაკონკრეტებისაგან, რადგან თავად მათი სურვილია, არ მოხდეს მათი იდენტიფიცირება.

სიღნაღის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, გაუქმდა წინა განკარგულება, რომლითაც დადგინდა საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის გამოყოფილი ფართების ნუსხა. ახალი ბრძანებით სიღნაღის ოლქში ასეთი ობიექტების ნუსხა 11-დან 4-მდე შემცირდა. გადაწყვეტილება პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ წინა-საარჩევნო შეხვედრის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, რამაც ხელი შეუშალა პრეზიდენტობის კანდიდატებს დაგეგმილი ღონისძიებების სრულყოფილად ჩატარებაში.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

პრეზიდენტობის კანდიდატთა შეხვედრებზე დასწრება

“სამართლიანი არჩევნების” გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, ყვარელში ამომრჩევლებს, რომლებიც დაესწრნენ ოპიზიციური პარტიების მიერ წარდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ გამართულ შეხვედრებს, შეექმნათ პრობლემები - საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოქალაქეებს, ძირითადად ხელმძღვანელები, პირდაპირ ან/და ირიბად დაემუქრნენ სამსახურიდან გათავისუფლებით, თუ ისინი კვლავ დაესწრებოდნენ მსგავსი სახის შეხვედრებს.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები საჯარო სკოლების დირექტორებს ავალბდნენ, უზრუნველყოთ გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის წინა-საარჩევნო შეხვედრებზე მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასწრება. “სამართლიანი არჩევნებისთვის” მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული პარტიის წარმომადგენლების მიერ ხდებოდა იმ სკოლების აღრიცხვა, რომელთაც შეასრულეს ან არ შეასრულეს მათი დავალება.

ვაუჩერების დარიგება

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ნაცვლად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები არიგებდნენ ვაუჩერებს, რომლებიც არის სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილი. ზოგიერთ შემთხვევაში ვაუჩერები გადაეცემოდა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდამჭერ მოქალაქეებს. მაგ: ნაძალადევის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველს არ გადასცეს გაზის ვაუჩერი მას შემდეგ, რაც მან დააფიქსირა, რომ მხარს არ უჭერს ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატს. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა სენაკში, სადაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები მოქალაქეებს ეკითხებოდნენ, თუ რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს მისცემდნენ ხმას არჩევნების დღეს. იმ შემთხვევაში, თუ პასუხი იყო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, მათ გადაეცემოდათ პურის ფქვილი.

“სამართლიანი არჩევნების” გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, წალკა, ახალგორისა და ჭიათურის საარჩევნო ოლქებში გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არიგებდნენ ვაუჩერებს სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და პარალელურად ეწეოდნენ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მხარდამჭერ აგიტაციას. ჭიათურისა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა ოჯახებიდან წაიღეს პირადობის მოწმობები ფქვილისა და ვაუჩერების მიღების მიზნით. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირადობის მოწმობები მოსახლეობას უკვე დაუბრუნდა.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ხელმოწერების შეგროვება

ხულოში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულების თანამშრომლებისგან მოითხოვდნენ, არჩევნების დღეს ხმა მიეცათ გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატისთვის; მოაწერინეს ხელი აღნიშნული კანდიდატის მხარდამჭერ ფორმებზე, უარის შემთხვევაში კი სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ.

დამკვირვებლებზე ზეწოლა

“ქობულეთის საარჩევნო ოლქის მე-10 საარჩევნო უბნის ერთ-ერთმა წევრმა სამართლიანი არჩევნების” გრძელვადიანი დამკვირვებელთან საუბრისას აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთში ჩაყრიდა იმდენ ბიულეტენს, რამდენიც მას სურდა. “სამართლიანი არჩევნებმა” ეს ფაქტი აცნობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფს, რის შემდეგაც ქობულეთის საარჩევნო ოლქის სპეციალურ სხდომაზე ამ კონკრეტულ პრიოვნებას მიეცა გაფრთხილება. მას დაევალა, თავი შეეკავებინა მსგავსი სახის განცხადებების გაკეთებისაგან. მოგვიანებით, მე-10 საარჩევნო უბნის აღნიშნული წევრი განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

ლაგოდეხში “სამართლიანი არჩევნების” ერთ-ერთი გრძელვადიანი დამკვირვებელი დაიბარა ლაგოდეხის რაიონის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელმა და დაუსვა კითხვები მისი საქმიანობისა და ანაზღაურების შესახებ. გაურკვეველია, კონტრდაზვერვის რაიონულ ხელმძღვანელს რატომ უნდა აინტერესებდეს დეტალები საარჩევნო დამკვირვებლის სამსახურისა და ხელფასის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ დასმული კითხვები არ იყო დაკავშირებული კონტრდაზვერვის ოფიციალურ საქმიანობასთან, ეს შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ჩარევა სადამკვირვებლო მისიაში და/ან ზეწოლა დამკვირვებელზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსგავსი სახის საუბარს ადგილი აქვს წინა-საარჩევნო პერიოდში. აღნიშნული შემთხვევა გადამოწმდა - კონტრდაზვერვის რაიონული ხელმძღვანელის მტკიცებით, ის ადრეც იცნობდა “სამართლიანი არჩევნების” ცოლორდინატორს, თუმცა, ამ უკანასკნელმა ნაცნობობა არ დაადასტურა.

დაფიქსირდა ნაციონალური მოძრაობის ბათუმის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლის მიერ ზეწოლის ფაქტი “სამართლიანი არჩევნების” ხელვაჩაურის რაიონის გრძელვადიან დამკვირვებელზე. როგორც “სამართლიან არჩევნებს” აცნობეს, აღნიშნული პიროვნება, მიხეილ კვესაძე, ჩართული იყო ნაციონალური მოძრაობის ბათუმის შტაბის წინა-საარჩევნო კამპანიაში და ამ პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა შვებულებაზე, როგორც სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი. ხელისუფლების წარმომადგენლებს ეცნობათ აღნიშნული ზეწოლის ფაქტის შესახებ და როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, ბატონ კვესაძეს ჩამოაშორებდნენ წინა-საარჩევნო კამპანიას. ამასთანავე, ბათუმში გაიმართა



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

“სამართლიანი არჩევნებისა” და “საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის” ერთობლივი პრეს-კონფერენცია, სადაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა საჯაროდ დაგმო და ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო.

ხობის საარჩევნო ოლქში ზეწოლა განხორციელდა “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლებზე, რომლებიც არიან საჯარო სკოლის მასწავლებლები. მათ უთხრეს, რომ, თუ ისინი განაგრძობდნენ “სამართლიან არჩევნებთან” თანამშრომლობას, გათავისუფლებული იქნებოდნენ სამსახურიდან.

ხმის მიცემის ფარულობა

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს არასწორი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები, რომლის მიხედვითაც, ხმის მიცემის ფარულობა არ იქნება გარანტირებული. კონკრეტულად, თითქოს საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის კაბინაში დამონტაჟებული იქნება ვიდეო კამერა, რომელიც დააფიქსირებს ამომრჩევლის არჩევანს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, “სამართლიანი არჩევნები” კმაყოფილებას გამოთქვამს ცესკო-ს გადაწყვეტილების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ხმის მიცემის კაბინები გადაიხურება. ასევე აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გარკვეული დოზით უზრუნველყო ამომრჩეველთა ინფორმირება, რათა განემტკიცებინა ამომრჩეველთა ნდობა ხმის მიცემის ფარულობის მიმართ. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმირების კამპანია ინიცირებულ იქნა საკმაოდ გვიან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის ეფექტურობაზე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფი

“სამართლიანი არჩევნები” იმთავითვე მიესალმა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფის შექმნას და გამოხატა მისი მზადყოფნა, ინტენსიურად ეთანამშრომლა ამ ჯგუფთან საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. წინა-საარჩევნო პერიოდში “სამართლიანი არჩევნები” რამდენჯერმე შეხვდა სამთავრობო სამუშაო ჯგუფის წევრებს, რათა განეხილა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევები. აღსანიშნავია, რომ სამთავრობო ჯგუფმა რეაგირება მოახდინა ორ ფაქტთან დაკავშირებით. ხოლო, დანარჩენ შემთხვევებში ჯგუფის მხრიდან გამოიხატა გამოვლენილი დარღვევების გამართლების ტენდენცია, ვიდრე მათზე რეაგირება. ზემოთხსენებული ორი ფაქტიდან, ერთ-ერთს შედეგად მოჰყვა ქობულეთის საარჩევნო ოლქის მიერ მე-10 საარჩევნო უბნის წევრის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. მეორე შემთხვევაში, სამთავრობო ჯგუფის ანგარიშში აისახა “სამართლიანი არჩევნების” კოორდინატორზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტი და მასზე რეაგირება. (იხილეთ ზემოთ). აღსანიშნავია, რომ ჯგუფის მიერ გამოცემულ ანგარიშს წინ უძღოდა გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის მყისიერი რეაგირება, რომლის შედეგად წინა-საარჩევნო კამპანიას ჩამოშორდა ზეწოლის განმახორციელებელი მიხეილ კვესაძე. თუმცა, სამთავრობო ჯგუფის



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ანგარიშის მიხედვით, ზეწოლის განხორციელებაში დადანიშნულ იქნა დაზარალებულის ნათესავი, რომელიც თითქოს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ამავე ანგარიშში მოხსენიებულ იქნა დაზარალებულის გვარი ამ უკანასკნელის წინასწარი ნებართვის გარეშე, ხოლო თვით ზეწოლის განმახორციელებელი არ იქნა საჯაროდ დასახელებული. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, ბატონი კვესაძე არ განთავისუფლდა სახელმწიფო კანცელარიაში დაკავებული თანამდებობიდან, რადგანაც ზეწოლის განხორციელების დროს იმყოფებოდა შვებულებაში.

დასკვნა

“სამართლიანი არჩევნები” ისურვებდა, ზოგიერთ მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით განხორციელებულიყო უფრო აქტიური ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია. კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციას დროულად უნდა მოეხდინა ამომრჩეველთა ინფორმირება ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხმის მიცემის ფარულობა და კამერების დამონტაჟება საარჩევნო უბნებზე.

“სამართლიანმა არჩევნებმა” გადაამოწმა 7 დეკემბერს საარჩევნო უბნებზე გამოქვეყნებული ამომრჩეველთა სიები, რათა გამოეკვლინა, თუ რამდენად იქნა ასახული საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კარ-და-კარ სიების გადამოწმების შედეგები. აღსანიშნავია, რომ სპეც. ჯგუფების მიერ დაფიქსირებული ცვლილებები ვერ იქნა მოძიებული ამომრჩეველთა სიაში (წინასწარი სია). სამწუხაროდ, ამომრჩეველთა სიაში კვლავაც ფიქსირდება გარდაცვლილები, გაორებები და ამომრჩეველთა არასწორი მონაცემები.

წინა-საარჩევნო პერიოდში “სამართლიანი არჩევნების” გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაფიქსირდა ამომრჩევლებზე ზეწოლის ფაქტები. “სამართლიანი არჩევნები” თვლის, რომ ზემოხსენებულმა შესაძლოა არასასურველი გავლენა მოახდინოს ამომრჩეველზე, კენჭისყრის დღეს თავისუფლად და სამართლიანად გამოხატოს საკუთარი ნება. ამასთან, წუხილს გამოვთქვამთ ჩვენს დამკვირვებლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით. “სამართლიანი არჩევნები” ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებლების უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობით. ადგილობრივი დამკვირვებლების საქმიანობა მნიშვნელოვანია, რადგან მათ შესწევთ ძალა, გაზარდონ საარჩევნო პროცესებისადმი საზოგადოების ნდობა. ხოლო მცდელობა, ხელი შეუშალოს ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის სრულყოფილად განხორციელებას, ართულებს დამკვირვებლებზე დაკისრებული ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესაბამისად შესრულებას. “სამართლიანი არჩევნები” იმედოვნებს, რომ მომავალში ადგილი აღარ ექნება დამკვირვებლებზე ზეწოლის ფაქტებს.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს, სამი ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაცია შეთანხმდა და ხელი მოაწერა საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ათ წინა-პირობას. ეს ორგანიზაციებია: “სამართლიანი არჩევნები”, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. “სამართლიანი არჩევნები” საბოლოო ანგარიშში კიდევ ერთხელ განიხილავს ზემოთ ხსენებულ დოკუმენტს.

“სამართლიანი არჩევნები” გეგმავს, არჩევნების დღეს დააკვირდეს 3400 დამკვირვებლის მეშვეობით; მთელი ქვეყნის მასშტაბით მობილიზებას გაუკეთებს 75 ოლქის დამკვირვებელს, 75 მობილურ ჯგუფსა და იურისტთა 5 გუნდს. 6 იანვარს, “სამართლიანი არჩევნები” გამოაქვეყნებს ხმათა პარალელური დათვლისა და ამომრჩეველთა აქტივობის შედეგებს. არჩევნების დღიდან არაუგვიანეს ორი თვისა, ორგანიზაცია გამოსცემს არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიშს.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra